هدية
HADIYAH

ჰაჯობის ფორმა

صفة الحج

ქართული

جورجي

ავტორი: პატივცემული შეიხი, დიდი სწავლული
მუჰამმად იბნ საალიჰ ალ-უსაიმინ ალლაჰმა
აპატიოს მას, მის მშობლებს და მუსლიმებს

صِفَةُ الحَجِّ

ჰაჯობის ფორმა

بِقَلَمِ فَضِيلَةِ الشَّيْخِ العَلَّامَةِ

مُحَمَّدِ بْنِ صَالِحٍ العُثَيْمِينِ

غَفَرَ اللَّهُ لَهُ وَلِوَالِدَيْهِ وَلِلمُسْلِمِينَ

ავტორი: პატივცემული შეიხი, დიდი სწავლული
მუჰამმად იბნ საალიჰ ალ-უსაიმინ
ალლაჰმა აპატიოს მას, მის მშობლებს და მუსლიმებს

ჰაჯობის ფორმა

ავტორი: პატივცემული შეიხი, დიდი სწავლული

მუჰამმად იბნ საალიჰ ალ-უსაიმინ

ალლაჰმა აპატიოს მას, მის მშობლებს და მუსლიმებს!

ყველა ქება დიდება ეკუთვნის ალლაჰს, სამყაროთა ღმერთს, ვლოცავ და ვესალმები ჩვენს წინასწარმეტყველ მუჰამმადს, ასევე მის ოჯახსა და ყველა მის საჰაბეებს, და ამის შემდეგ:

ამიტომ მივმართავ ჩემს ძმებს იმით, რაც ალლაჰმა გამიადვილა ჰაჯობის საკითხთაგან, მისი დროის მოსვლის შესაბამისად, იმ იმედით, რომ უზენაესი ალლაჰი ყველას საქმეს გახდის მხოლოდ მისი სახისთვის შესრულებულად, სარგებლიანად და მასთან დაახლოების საშუალებად. უფალო, ნამდვილად შენ ხარ კეთილი და დიდსულოვანი.

და საუბარი ჰაჯობაზე შემდეგნაირად შეიძლება შევაჯამოთ:

1. მოგზაურობასთან დაკავშირებული წესები.

2. როდის გახდა ჰაჯობა სავალდებულო? და ვის ევალდებულება მისი შესრულება?

3. საიდან უნდა შევიდეს იჰრამში ის, ვინც ჰაჯობის ან უმრას შესრულებას აპირებს?

4. ჰაჯობის სახეები და მათგან საუკეთესო.

5. თამათთუ’ ჰაჯობის ფორმა: უმრასთვის იჰრამში შესვლიდან ჰაჯობის დასრულებამდე – და მისი მოკლე აღწერა.

6. გამოსამშვიდობებელი ტავაფი (ტავაფ ალ-ვადა').

7. იჰრამის მდგომარეობაში აკრძალული ქმედებები.

8. რა არის შარიათული განჩინება იმ ადამიანის შესახებ, ვინც ამ აკრძალულ ქმედებებს ჩაიდენს იჰრამში ყოფნის დროს?

9. მოციქულის მეჩეთის მონახულება.

მოგზაურობასთან დაკავშირებული შარიათული დადგენილებები

იმის გამო, რომ ჰაჯობა შეუძლებელია მოგზაურობის გარეშე – არამედ თვითონაც მოგზაურობაა – მნიშვნელოვანია, რომ აქ ვახსენოთ რამდენიმე დადგენილება, რომელიც

მოგზაურობას უკავშირდება. მოგზაურობასთან დაკავშირებული შარიათული ნორმები არსებობს, და მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ლოცვას შეეხება. ეს დადგენილებები შემდეგნაირად შეგვიძლია შევაჯამოთ:

ა. განწმენდასთან დაკავშირებით:

მოგზაურისთვის სავალდებულოა განიწმინდოს წყლით, თუ იგი ხელმისაწვდომია, როგორც აბდესის, ისე ღუსლის დროს. მაგრამ თუ წყალს ვერ იპოვის, მაშინ უნდა შეასრულოს თაიამუმი სუფთა მიწით: და ორივე ხელით უნდა შეეხოს მიწას ერთჯერადად, შემდეგ უნდა მოიწმინდოს სახე მთლიანად და ხელის გულები თითების წვერებიდან მაჯამდე. მაჯა — ეს არის სახსარი, რომელიც ხელის გულს მკლავთან აერთებს.

ამით იგი მიიჩნევა სრულად განწმენდილად, და ეს განწმენდა არ გაუქმდება, გარდა იმ შემთხვევისა, რაც წყლით აღებული განწმენდის გაუქმებას იწვევს, ან თუ წყალი გამოჩნდება. ამიტომ, თუ მან თაიამუმი აიღო ზუჰრის (შუადღის) ლოცვისთვის და აბდესიანი დარჩა

ასრის (ნაშუადღევის) ლოცვამდე, ასრს ილოცებს ახალი თაიმუმის გარეშე. ასევე, თუ აბდესი შეუნარჩუნდება მაღრიბისა და იშას დრომდე, ორივე ლოცვას თაიამუმის გარეშე შეასრულებს.

თუ მოგზაურს ჯუნუბობა შეემთხვევა და წყალს ვერ იპოვის, ის შეასრულებს თაიამუმს და ჯუნუბობა მოიხსნება. მაგრამ თუ შემდეგ წყალს იპოვის — ჯუნუბობის განჩინება უბრუნდება და მას განბანვის შესრულება ევალება. ასევე, თუ მას შეემთხვევა მცირე უწმინდურობა (შარდის ან განავლის შედეგად) და წყალი არ აქვს, თაიამუმს აიღებს და ის გაიწმინდება. მაგრამ თუ შემდეგ წყალი იპოვა — მას განუბანლობა უბრუნდება და აბდესის აღება ევალება. ამისი დასტურია ჰადისი:

«الصَّعِيدُ الطَّيِّبُ وَضُوءُ المُسْلِمِ وَإِنْ لَمْ يَجِدِ المَاءَ عَشْرَ سِنِينَ، فَإِذَا وَجَدَ المَاءَ فَلْيَتَّقِ اللهَ، وَلْيُمِسَّهُ بَشَرَتَهُ».

«სუფთა მიწა — მუსლიმისთვის განწმენედის საშუალებას წარმოადგენს, თუნდაც მან ათი წლის განმავლობაში ვერ იპოვოს წყალი. მაგრამ

როცა წყალს იპოვის — უნდა ეშინოდეს ალლაჰის და უნდა შეახოს წყალი თავის კანს». სხვა ჰადისში ნათქვამია:

«طَهُورُ المُسْلِمِ»

«მუსლიმის განწმენდა» ამ ჰადისს გადმოსცემს აჰმად იბნ ჰამბალი, ხოლო ათ-თირმიზიმ თქვა: ეს არის კარგი-სანდო ჰადისი[1]. მოგზაურს შეუძლია გაიწმინდოს ქალამანზე ან წინდებზე სამი დღის და ღამის განმავლობაში საწინააღმდეგოდ ადგილზე მყოფისა, მას მხოლოდ ერთი დღე და ღამე შეუძლია მესის გაკეთება.

ბ. სავალდებულო ლოცვებთან დაკავშირებით:

მოგზაური ოთხრაქათიან სავალდებულო ლოცვებს — ანუ ზუჰრს, ასრს და იშას — ასრულებს მხოლოდ ორი რაქათით, იმ დროიდან დაწყებული, როცა თავის ქალაქს

---

[1] ეს ჰადისი გადმოსცა აბუ დაუდმა წიგნში "განწმენდის შესახებ“, თავში "ჯუნუბობაში მყოფის თაიამუმი" ნომრით: 332; ასევე ათ-თირმიზიმ წიგნში „გამწმენდის შესახებ“, თავში „ჯუნუბობაში მყოფისთვის თაიამუმის დაშვება“, ნომრით: 124; ან-ნასაიმ წიგნში „განწმენდის შესახებ“, თავში „ერთი თაიამუმით ლოცვების შესრულება“, ნომრით: 323; ხოლო აჰმადმა (5/146) აბუ ზარის ჰადისიდან, მოცემული რივაიათის ვარიანტი თავდაპირველად გადმოცემულია ალ-ბაზზარის მიერ (9/387), ნომრით: 3973.

დატოვებს, და მანამ, სანამ უკან არ დაბრუნდება, იქნება მისი მოგზაურობა ხანგრძლივი თუ მოკლე. "საჰიჰ ალ-ბუხაარიში" გადმოცემულია ანას იბნ მაალიქისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მან თქვა:

«خَرَجْنَا مَعَ النَّبِيِّ ﷺ مِنَ المَدِينَةِ إِلَى مَكَّةَ (يعني: في حَجَّةِ الوَدَاعِ)، فَكَانَ يُصَلِّي رَكْعَتَيْنِ رَكْعَتَيْنِ، حَتَّى رَجَعْنَا إِلَى الْمَدِينَةِ. قُلْتُ: أَقَمْتُمْ بِمَكَّةَ شَيْئًا؟ قال: أَقَمْنَا بِهَا عَشْرًا».

«ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად გავემგზავრეთ მედინადან მექქისკენ (იგულისხმება გამოსამშვიდობებელი ჰაჯობა), და ის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ასრულებდა ლოცვებს ორ-ორი რაქათით, — ვიდრე არ დავბრუნდით მედინაში. ვკითხე: მექქაში დარჩით ცოტახანს? მან მიპასუხა: 'დავრჩით იქ ათი დღე'».[1]

აიშასგან გადმოცემულია (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ თქვა: «როცა ალლაჰმა სავალდებულო გახადა ლოცვა, დააფუძნა იგი

[1] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ლოცვის შემოკლების შესახებ", თავში "რაც გადმოცემულია ლოცვის შემოკლებაზე", ნომრით: 1081; ასევე მუსლიმმა წიგნში "მოგზაურების ლოცვა და მისი შემოკლება", ნომრით: 693.

ორ-ორ რაქათად — როგორც სახლში ყოფნისას, ასევე მოგზაურობისას. შემდეგ მოგზაურობის ლოცვა დარჩა უცვლელად, ხოლო სახლში ყოფნის ლოცვაზე დაემატა».[1]

მის (იმამ მუსლიმის) სხვა გადმოცემებში ნათქვამია: «ლოცვა თავდაპირველად დაწესდა ორ რაქათად. შემდეგ როდესაც ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გადასახლდა, იგი გახდა ოთხ რაქაათიანი, ხოლო მოგზაურობის ლოცვა დარჩა პირვანდელი ფორმით».[2]

მუსლიმის გადმოცემაში ნათქვამია: «მოგზაურობის ლოცვა დარჩა პირვანდელი სავალდებულო ფორმით».[3]

არ არის გადმოცემული, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ოდესმე სრულად აღასრულა ლოცვა მოგზაურობის

---

[1] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ლოცვის შესახებ“, თავში "როგორ იქნა დაწესებული ლოცვა ისრაას ღამით?“ ნომრით: 350; ასევე მუსლიმმა წიგნში "მოგზაურთა ლოცვისა და მისი შემოკლების შესახებ“, ნომრით: 685.

[2] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ალ-მანააყიბ“, თავში "საიდან დაიწყეს ისლამური კალენდრის თვლა?", ნომრით 3935.

[3] ეს ჰადისი გადმოსცა იმამ მუსლიმმა წიგნში "მოგზაურთა ლოცვის შესახებ“, ნომრით: 685/2

დროს. ამის გამო მრავალი სწავლული მიიჩნევს, რომ მოგზაურისთვის სავალდებულო ლოცვების შესრულება ორ რაქათად სავალდებულოა. "საჰიჰ ალ-ბუხარში“ აბდურრაჰმან იბნ იაზიდი გადმოსცემს: «უსმან იბნ აფფანმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) მინაში ჩვენთან ერთად ლოცვა ოთხი რაქათით აღასრულა. ეს ამბავი გადაეცა აბდულლაჰ იბნ მასუდს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) და მან თქვა: ‘ინნაა ლილააჰი ვა ინნაა ილაიჰი რაჯი’უნ!’ შემდეგ თქვა: ‘მე მინაში ვილოცე შუამავალთან ერთად (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) — ორი რაქათი. ვილოცე აბუ ბაქრთან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ერთად ორი რაქათი. ვილოცე უმარ იბნ ალ-ხატტაბთან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ერთად ორი რაქათი. ნეტავ, ჩემთვის ამ ოთხი რაქათიდან მხოლოდ ორი იყოს მიღებული!’»[1]

აბდულლაჰ იბნ მასუდმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჩათვალა, რომ უსმანის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ლოცვის სრულად აღსრულება იყო ერთგვარი

[1] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ლოცვის შემოკლების შესახებ", თავში "ლოცვა მინაში", ნომრით: 1084; და მუსლიმმა წიგნში "მოგზაურთა ლოცვის შესახებ", თავში "ლოცვის შემოკლება მინაში“, ნომრით: 695.

განსაცდელი, რადგან მის გამო თქვა "ინნაა ლილლააჰი ვა ინნაა ილაიჰი რაჯი'უნ/ჩვენ ალლაჰს ვეკუთვნით და მას დავუბრუნდებით/". მან აგრეთვე განმარტა, რომ ალლაჰის შუამავალსა და მისი ორი ხალიფას სუნნა განსხვავდებოდა უსმანის ამ ქმედებისგან.

უსმანი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) მინაში ლოცვებს შემოკლებულად ასრულებდა ხალიფად ყოფნის პირველი ექვსი ან რვა წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ დაიწყო მათი სრულად აღსრულება. როგორც "საჰიჰ მუსლიმშია“ გადმოცემული იბნ უმარის (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი) ჰადისში, მან თქვა: «მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მინაში ლოცვა აღასრულა როგორც მოგზაურმა, ასევე აბუ ბაქრმა, უმარმა და უსმანმა — რვა წლის განმავლობაში, ან თქვა: ექვსი წლის განმავლობაში».[1] უსმანის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ლოცვის სრულად აღსრულება იყო

[1] ეს ჰადისი გადმოსცა მუსლიმმა წიგნში "მოგზაურთა ლოცვის შესახებ", თავში "ლოცვის შემოკლება მინაში", ნომრით: 694/18.

მის მიერ მიღებული ინტერპრეტაციის შედეგი. გადმოცემები და სწავლულების მოსაზრებები ამ ინტერპრეტაციის თაობაზე ერთმანეთისგან განსხვავდება.

რაც შეეხება იმ შემთხვევას, როცა მოგზაური ლოცულობს იმამთან, რომელიც ლოცვას სრულად ასრულებს — მაშინ მისთვისაც სავალდებულოა ლოცვის სრულად აღსრულება. საჰიჰ მუსლიმში“ გადმოცემულია მუსა იბნ სალამა ალ-ჰუზალისგან, რომ მან თქვა: «ვკითხე იბნ აბბასს (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): ‘როგორ ვილოცო მაშინ, როცა მექქაში ვიმყოფები და არ ვლოცულობ იმამთან ერთად?’ მან მიპასუხა: ‘ორი რაქათი — ეს არის აბულ-ყასიმის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სუნნა'».[1]

ამავე თავში გადმოცემულია ნაფი’ისგანაც, რომ მან თქვა: «როდესაც იბნ უმარი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) იმამთან ერთად ლოცულობდა — ოთხ რაქათს ასრულებდა,

[1] ეს ჰადისი გადმოსცა მუსლიმმა წიგნში "მოგზაურთა ლოცვის შესახებ“, თავში "მოგზაურთა ლოცვა და მისი შემოკლება“, ნომრით: 688.

ხოლო როცა მარტო ლოცულობდა — ორ რაქათს».[1]

სულერთია, ის იმამთან ლოცვაში ჩაერთო ლოცვის დასაწყისიდან თუ შუაში — რადგან ეს მოიცავს შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზოგად სიტყვებს:

«فَمَا أَدْرَكْتُمْ فَصَلُّوا، وَمَا فَاتَكُمْ فَأَتِمُّوا».

«რაც კი ლოცვიდან მოასწარით — ილოცეთ, ხოლო რაც გამოგრჩათ — დაასრულეთ».[2]

რაც შეეხება მოგზაურისთვის ზუჰრისა და ასრის, ან მაღრიბისა და იშას ლოცვების გაერთიანებას — ეს არის სუნნა იმ შემთხვევაში, თუ იგი გზაშია, ანუ გადაადგილდება. რადგან "საჰიჰ ალ-ბუხარში“ გადმოცემულია იბნ აბბასისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომ მან თქვა:

---

[1] ეს ჰადისი გადმოსცა მუსლიმმა წიგნში "მოგზაურთა ლოცვის შესახებ“, თავში "ლოცვის შემოკლება მინაში“, ნომრით: 694/17.

[2] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "აზანის შესახებ“, თავში "ლოცვაზე სირბილით წასვლა არ შეიძლება“, ნომრით: 636; ასევე თავში: "ადამიანის სიტყვებზე: ' ლოცვა გამოგვრჩა“, ნომრით: 635; და მუსლიმმა წიგნში "მეჩეთების შესახებ“, თავში "ლოცვაზე სიდინჯითა და სიმშვიდით მისვლის რეკომენდაცია“, ნომრით: 602 და ნომრით: 603 — აბუ ჰურაირასა და აბუ ყათადას ჰადისიდან.

"كَانَ رَسُولُ اللهِ ﷺ يَجْمَعُ بَيْنَ صَلَاةِ الظُّهْرِ وَالْعَصْرِ إِذَا كَانَ عَلَى ظَهْرِ سَيْرٍ، وَيَجْمَعُ بَيْنَ الْمَغْرِبِ وَالْعِشَاءِ".

«ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აერთიანებდა ზუჰრისა და ასრის ლოცვებს, როცა გზაში იყო, და აერთიანებდა მაღრიბისა და იშას ლოცვებსაც».[1]

რაც შეეხება იმ შემთხვევაში, როცა მოგზაური დაბანაკებულია (აღარ გადაადგილდება) — სუნნა არის ის, რომ ლოცვები არ გააერთიანოს, რადგან შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მინაში არ აერთიანებდა ლოცვებს, ვინაიდან დაბანაკებული იყო. თუმცა, თუ გააერთიანა — პრობლემა არ არის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამის საჭიროება არსებობს — მაგალითად, საქმე, რომელიც უნდა მოაგვაროს, ან დასვენების მიზნით ძილი. "საჰიჰ ალ-ბუხარსა“ და "საჰიჰ მუსლიმში“ გადმოცემულია აბუ ჯუჰაიფას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისი,

---

[1] ეს ჰადისი გადმოცემულია ალ-ბუხარის წიგნში "ლოცვის შემოკლების შესახებ“, თავში "მოგზაურობისას მაღრიბისა და იშას ლოცვების გაერთიანება“, ნომრით: 1107 — მუ'ალლაყ ფორმით (მოკლე ჯაჭვით გადმოცემული).

أَنَّ النَّبِيَّ ﷺ خَرَجَ مِنْ قُبَّةٍ كَانَتْ لَهُ بِالأَبْطَحِ بِمَكَّةَ، قَالَ أَبُو جُحَيْفَةَ: خَرَجَ بِالْهَاجِرَةِ -يَعْنِي: شِدَّةَ الحَرِّ- إِلَى البَطْحَاءِ، فَتَوَضَّأَ، ثُمَّ صَلَّى الظُّهْرَ رَكْعَتَيْنِ، وَالعَصْرَ رَكْعَتَيْنِ، الحديث.

რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გამოვიდა კარავიდან, რომელიც მას ხეობაში (მექქასთან ახლოს) ჰქონდა. აბუ ჯუჰაიფა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ამბობს: «ის გამოვიდა შუადღის ძლიერი სიცხის დროს ხეობაში, აიღო აბდესი, შემდეგ კი ზუჰრი ილოცა ორი რაქათით და ასრიც — ორი რაქათით...», — ჰადისი[1]

"საჰიჰ მუსლიმში“ გადმოცემულია სა'იიდ იბნ ჯუბაირის მეშვეობით იბნ აბბასის (ალლაჰი იყოს მათით კამყოფილი) სიტყვები, რომ მან თქვა:

"جَمَعَ رَسُولُ اللهِ ﷺ فِي سَفَرَةٍ سَافَرَهَا فِي غَزْوَةِ تَبُوكَ، فَجَمَعَ بَيْنَ الظُّهْرِ وَالْعَصْرِ، وَالْمَغْرِبِ وَالْعِشَاءِ"، قَالَ سَعِيدٌ: فَقُلْتُ لِابنِ عَبَاسٍ: "مَا أَرَادَ بِذَلِكَ؟" قَالَ: "أَرَادَ أَلَّا يُحْرِجَ أُمَّتَهُ".

---

[1] ამ ჰადისს გადმოსცემს ალ-ბუხარი წიგნში "ალ-მანაყიბ", თავში "შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აღწერილობა“, ნომრით: 3553; და მუსლიმმა წიგნში "ლოცვის შესახებ“, თავში "მლოცველის წინ არსებული ბარიერის შესახებ“, ნომრით: 503.

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდოაბა მას) იმ მოგზაურობაში, რომელიც თაბუქის ბრძოლისას ჰქონდა, გააერთიანა ზუჰრი და ასრი, ასევე მაღრიბი და იშას ლოცვები. საიდ იბნ ჯუბაირმა თქვა: ვკითხე იბნ აბბასს (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი): «რისთვის გააერთიანა ასე?» მან მიპასუხა: «იმისთვის, რომ არ გაეძნელებინა საქმე თავისი უმმეთისთვის»[1]. ასევე მსგავსი გადმოცემულია მუაზ იბნ ჯაბალისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), ზუსტად იგივე მნიშვნელობით.[2]

ფრაზა „يحرج أمته“ ნიშნავს — რომ არ ჩაეგდო თავისი უმმათი სიძნელესა და წნეხში.

გ. ნებაყოფლობით ლოცვებთან დაკავშირებით:

მოგზაურისთვის დაშვებულია ნებაყოფლობითი ლოცვების შესრულება, როგორც ის, ვინც სახლში იმყოფება. მას შეუძლია ილოცოს ღამის ლოცვები, ვითრი,

---

[1] ეს ჰადისი გადმოცემულია მუსლიმის მიერ წიგნში "მოგზაურთა ლოცვის შესახებ“, თავში "ორი ლოცვის გაერთიანება ადგილზე მყოფისთვის“, ნომრით: 705/51.

[2] ეს ჰადისი გადმოცემულია მუსლიმის მიერ წიგნში "მოგზაურთა ლოცვის შესახებ“, თავში "ორი ლოცვის გაერთიანება ადგილზე მყოფისთვის“, ნომრით: 706.

დუჰას ლოცვა, მეჩეთში შესვლის სალოცავი (თაჰიათულ მასჯიდ), და ქუსუფის (მზის დაბნელების) ლოცვა. "საჰიჰ ალ-ბუხარში" გადმოცემულია აბდულლაჰ იბნ უმარის (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი) სიტყვები, რომ მან თქვა:

"رَأَيْتُ النَّبِيَّ ﷺ إِذَا أَعْجَلَهُ السَّيْرُ يُؤَخِّرُ الْمَغْرِبَ فَيُصَلِّيهَا ثَلَاثًا، ثُمَّ يُسَلِّمُ، ثُمَّ قَلَّمَا يَلْبَثُ حَتَّى يُقِيمَ الْعِشَاءَ، فَيُصَلِّيهَا رَكْعَتَيْنِ، ثُمَّ يُسَلِّمُ، وَلَا يُسَبِّحُ بَعْدَ الْعِشَاءِ حَتَّى يَقُومَ مِنْ جَوْفِ اللَّيْلِ".

«დავინახე, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) — გზაში ყოფნისას თუ ჩქარობდა, აყოვნებდა მაღრიბის ლოცვას და შემდეგ ასრულებდა მას სამი რაქათით, შემდეგ სალამს იძლეოდა. და ცოტასაც კი არ აყოვნებდა, რომ ყაამეთი გაეკეთებინათ იშასთვის, რომელსაც ასრულებდა ორი რაქათით, შემდეგ სალამს იძლეოდა. და არ ასრულებდა ნაფილე ლოცვებს იშას შემდეგ, სანამ ღამის შუა ნაწილში არ ადგებოდა (ლოცვისთვის)».[1]

---

[1] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ლოცვის შემოკლების შესახებ", თავში "აზანის ან ყაამათის გაკეთება, როცა მაღრიბი და იშა ერთიანდება?" ნომრით: 1109; ასევე მუსლიმმა მოკლედ — წიგნში "მოგზაურთა ლოცვის შესახებ", თავში "მოგზაურობისას ორი ლოცვის გაერთიანების ნებართვა", ნომრით: 703.

"საჰიჰ ალ-ბუხარსა" და "საჰიჰ მუსლიმში" გადმოცემულია საიდ იბნ იასარისგან, რომ მან თქვა: «მექქის გზაზე აბდულლაჰ იბნ უმართან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) ერთად მივემგზავრებოდი, როცა დილის გათენების შემეშინდა, ჩამოვედი (ცხოველიდან), რომ ვითრის ლოცვა შესრულება მომესწრო, შემდეგ მას დავეწიე. აბდულლაჰ იბნ უმარმა მითხრა: 'სად იყავი?' ვუპასუხე: 'დილის ლოცვის დადგომის შემეშინდა, ამიტომ ჩამოვედი და ვითრი ვილოცე'. მან თქვა: 'ნუთუ შენთვის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არ არის საუკეთესო მაგალითი?' ვუპასუხე: 'რათქმაუნდა ვფიცავ ალლაჰს!' მან თქვა: 'ჭეშმარიტად, შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ვითრს თავის აქლემზე მჯდომი ასრულებდა'».[1]

---

[1] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ვითრის ლოცვა", თავში "ვითრის ლოცვა ცხოველზე (ამხედრებული)", ნომრით: 999; და მუსლიმმა წიგნში "მოგზაურთა ლოცვის შესახებ", თავში "მოგზაურობისას ნაფილე ლოცვის ცხოველზე შესრულების ნებართვა", ნომრით: 700/36.

ასევე ორივე მათგანში (ალ-ბუხარისა და მუსლიმის "საჰიჰში") გადმოცემულია აბდურრაჰმან იბნ აბი ლაილასგან, რომ მან თქვა: «არავის უთქვამს ჩემთვის, რომ მან ნახა შუამავლი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) დუჰას ლოცვის შესრულებისას — გარდა უმმ ჰაანისა. რადგან მან მითხრა, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მექქის დაპყრობის დღეს შევიდა მის სახლში და იქ ილოცა რვა რაქათი».[1]

ასევე ორივე წიგნში (ბუხარიში და მუსლიმში) გადმოცემულია აბუ ყათადას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისი, რომელშიც შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობს:

«إِذَا دَخَلَ أَحَدُكُمُ الْمَسْجِدَ، فَلَا يَجْلِسْ حَتَّى يُصَلِّيَ رَكْعَتَيْنِ».

«თუ რომელიმე თქვენგანი შევა მეჩეთში არ

[1] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ლოცვის შემოკლების შესახებ", თავში "ის, ვინც ნაფილე ლოცვა აღასრულა მოგზაურობის დროს სავალდებულო ლოცვების გარდა", ნომრით: 1103; და მუსლიმმა წიგნში "მოგზაურთა ლოცვის შესახებ", თავში: "დუჰა ლოცვის შესრულების რეკომენდაცია", ნომრით: 336/80.

დაჯდეს მანამ, სამან არ ილოცებს ორ მუხლს».[1]

ასევე ორივე მათგანში (ბუხარიში და მუსლიმში) გადმოცემულია აიშას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისი ქუსუფის (მზის დაბნელების) ლოცვის შესახებ, სადაც შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობს:

«إِنَّ الشَّمْسَ وَالْقَمَرَ آيَتَانِ مِنْ آيَاتِ اللهِ، لَا يَخْسِفَانِ لِمَوْتِ أَحَدٍ وَلَا لِحَيَاتِهِ، فَإِذَا رَأَيْتُمُوهما –يَعْنِي: مُنخَسِفَيْنِ– فَافْزَعُوا إِلَى الصَّلَاةِ».

«მზე და მთვარე ალლაჰის სასწაულთაგანია. ისინი არ დაბნელდებიან არავის სიკვდილის გამო და არც სიცოცხლის გამო. ხოლო როცა დაინახავთ მათ დაბნელებულ მდგომარეობაში — იჩქარეთ ლოცვისკენ!»[2]

მოწოდება ალ-ქუსუფის ლოცვის შესრულებისკენ ამ ორ ჰადისში ზოგად

---

[1] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "თაჰაჯჯუდის შესახებ", თავში "რაც გადმოცემულია ნაფილე ლოცვების წყვილად (ორ-ორ რაქათად) შესრულების შესახებ", ნომრით: 1163; ხოლო მუსლიმმა წიგნში "ლოცვის შესახებ", თავში "მეჩეთში შესვლისას მისასალმებელი ლოცვის შესრულების რეკომენდაცია", ნომრით: 714.

[2] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ქუსუფის (მზის დაბნელების) ლოცვის შესახებ", თავში "ხუტბა იმამის მხრიდან ქუსუფის დროს", ნომრით: 1046; და მუსლიმმა წიგნში "ქუსუფის შესახებ", თავში "ქუსუფის ლოცვა", ნომრით: 901.

მნიშვნელობას ატარებს, რადგან მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არ აკავშირებდა მას დღის კონკრეტულ მონაკვეთთან ან იმასთან, იმყოფება ადამიანი გზაში თუ არა, [არამედ მხოლოდ დაბნელების ფაქტთან იყო დაკავშირებული].

"საჰიიჰ ალ-ბუხარში" ჯაბირ იბნ აბდულლაჰი (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გადმოსცემს:

"كان النبي ﷺ يُصَلِّي التَّطَوُّعَ وَهُوَ رَاكِبٌ فِي غَيْرِ الْقِبْلَةِ".

«ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ნაფილე ლოცვებს აღასრულებდა ამხედრებული — არა ყიბლის მიმართულებით».[1]

და სიტყვაში "ნებაყოფლობითი" არსებული "ალ არტიკლით“ შეიძლება აღნიშნავდეს როგორც სახეობას, ასევე ზოგადობას. მეორე მნიშვნელობას ამყარებს ის ფაქტი, რომ ნაფილე ლოცვების დაშვებულობა თავის საწყის მდგომარეობაში რჩება მანამ, სანამ არ მოვა

[1] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ლოცვის შემოკლების შესახებ", თავი "ნაფილე ლოცვა ცხოველზე მჯდომარე", ნომრით: 1094.

მტკიცებულება მის უარყოფაზე. ხოლო რაც ჩვენთვის ცნობილია — მტკიცებულება ნაფილე ლოცვის დატოვებაზე მოსულია მხოლოდ ზუჰრის, მაღრიბის და იშას რეგულარული ნაფილე ლოცვებთან დაკავშირებით. "საჰიჰ მუსლიმში" გადმოცემულია ჰაფს იბნ ასიმ იბნ უმარ იბნ ალ-ხატტაბის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისი, რომ მან თქვა: «ერთხელ მექქის გზაზე იბნ უმარს გავყევი. მან ჩვენთან ერთად ზუჰრი ორ რაქათად ილოცა, შემდეგ გაემართა თავის ბარგისკენ და ჩვენც მას გავყევით. როცა დაჯდა, ჩვენც დავჯექით. უეცრად გაიხედა იმ მიმართულებით, სადაც ლოცვა აღასრულა და დაინახა ხალხი, რომელიც დგას. ჰკითხა: "რას აკეთებენ ესენი?" ვუთხარი: "თასბიჰს" — ანუ ნაფილე ლოცვას ასრულებენ. მან თქვა: "ოჰ, ძმის შვილო! ნაფილე ლოცვის შესრულება რომ მდომოდა, სრულად აღვასრულებდი სავადებულო ლოცვას. მე ვმოგზაურობდი ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად, და ის არასოდეს ასრულებდა მოგზაურობისას ორ

რაქათზე მეტს, სანამ ალლაჰმა მისი სული არ მიიბარა. ასევე ვიყავი აბუ ბაქრთან, და ისიც ორ რაქათზე მეტს არ ლოცულობდა, სანამ ალლაჰმა მისი სული არ მიიბარა. შემდეგ ვიყავი უმართან, და ისიც მხოლოდ ორ რაქათს ლოცულობდა, ვიდრე ალლაჰმა მისი სული არ მიიბარა. ბოლოს ვიყავი უსმანთან, და ისიც არ ამატებდა ორ რაქათს, ვიდრე ალლაჰმა მისი სული არ მიიბარა. ხოლო ალლაჰი ამბობს: {ჭეშმარიტად, თქვენთვის ალლაჰის შუამავალი საუკეთესო მაგალითი იყო}.[1] [ალ-აჰზაბ: 21].

და უკვე ადრე ნახსენები იყო იბნ უმარის ჰადისი მაღრიბისა და იშას ლოცვების გაერთიანების შესახებ, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამ ორ ლოცვის (დადგენილ ნაფილე) ლოცვებს არ ასრულებდა.[2]

---

[1] ეს ჰადისი გადმოცემულია მუსლიმის მიერ წიგნში "მოგზაურთა ლოცვის შესახებ", თავში "მოგზაურთა ლოცვა და მისი შემოკლება", ნომრით: 689; აგრეთვე ალ-ბუხარიმ მოკლე ფორმით წიგნში "ლოცვის შემოკლების შესახებ", თავში "ვინც არ ასრულებდა ნაფილე ლოცვებს მოგზაურობაში სავალდებულო ლოცვის შემდეგ", ნომრით: 1101–1102.

[2] ეს ჰადისი უკვე ადრე იყო ნახსენები (გვ. 7-ზე).

იბნ უმარის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) სიტყვებში იგულისხმება: "ნაფილე ლოცვის შესრულება რომ მდომოდა, სრულად აღვასრულებდი სავადებულო ლოცვას.." ამის დასტურად მოწმობს ისიც, რომ იბნ უმარისგან გადმოცემულია, რომ ის ნაფილე ლოცვებს ასრულებდა თავის სამგზავრო ცხოველზე, ვითრის ჩათვლით და ჰყვებოდა, რომ ალლაჰის შუამავალიც (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ასე იქცეოდა.

ალ-ბუხარის (ალლაჰმა შეიწყალოს ის) თავის "საჰიჰში" თავებად მოჰყავს შემდეგი სათაურებით: «ვინც მოგზაურობისას არ ასრულებდა ნაფილე ლოცვებს სავალდებულო ლოცვამდე და მის შემდეგ", ასევე "ვინც ასრულებდა ნაფილე ლოცვებს მოგზაურობისას, სავალდებულო ლოცვამდე და მის შემდეგ".

რაც შეეხება ნაფილე ლოცვას, რომელიც სრულდება ფაჯრის ლოცვამდე — მოგზაურებიც ასრულებენ მას ისევე, როგორც ისინი, ვინც სახლში იმყოფებიან, რადგან მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას)

ნაფილე ლოცვებიდან ყველაზე მეტ ყურადღებას სწორედ ამ ორ რაქათს უთმობდა და მას არასდროს ტოვებდა. ამის შესახებ მოყვანილია "საჰიჰ ალ-ბუხარში" აიშასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულ ჰადისში (იხ. ტ. 3, გვ. 42, ფათჰ ალ-ბარი).[1]

"საჰიჰ მუსლიმში" გადმოცემულია აბუ ყათადასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი),

أَنَّهُ كَانَ مَعَ النَّبِيِّ ﷺ، فَذَكَرَ قِصَّةَ نَوْمِهِمْ عَنْ صَلَاةِ الفَجْرِ حَتَّى طَلَعَتِ الشَّمْسُ، وَأَنَّ النَّبِيَّ ﷺ أَمَرَهُمْ، فَسَارُوا عَنْ مَكَانِهِمْ، ثُمَّ نَزَلَ، فَتَوَضَّأَ، ثُمَّ أَذَّنَ بِلاَلٌ بِالصَّلَاةِ، فَصَلَّى رَسُولُ اللهِ ﷺ رَكْعَتَيْنِ، ثُمَّ صَلَّى الغَدَاةَ، فَصَنَعَ كَمَا يَصْنَعُ كُلَّ يَوْمٍ.

რომ ის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ერთად იყო და მან მოჰყვა ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ჩაეძინათ ფაჯრის ლოცვაზე და მზე ამოვიდა. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უბრძანა

---

[1] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "თაჰაჯჯუდის შესახებ", თავში "ფაჯრის ორი რაქათის მუდმივი შესრულების შესახებ", ნომრით: 1169; ხოლო მუსლიმმა — წიგნში "მოგზაურთა ლოცვის შესახებ", თავში "ფაჯრის სუნნა ლოცვის (ორი რაქათის) შესრულების რეკომენდაცია", ნომრით: 724/94.

მათ ადგილი დაეტოვებინათ. შემდეგ ის გაჩერდა და აბდესი აიღო. ბილალმა აზანი წარმოთქვა და შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ილოცა ორი რაქათი (ფაჯრის სუნნა), შემდეგ კი — დილის სავალდებულო ლოცვა. და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ჩვეულებრივად აკეთებდა ყოველ დღე».[1]

ამავე შინაარსის ჰადისი გადმოცემულია აბუ ჰურაირასგანაც (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი).[2]

და ჩვენ განვმარტეთ მოგზაურობის დროს ნაფილე ლოცვების საკითხი ასე დაწვრილებით იმიტომ, რომ ზოგი ადამიანი ფიქრობს, თითქოს მოგზაურს ნაფილე ლოცვების შესრულება სრულად ეკრძალება. თუმცა რაც ზემოთ მოვიყვანეთ, ცხადყოფს, რომ მტკიცებულება მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ ზუჰრის, მაღრიბისა და იშას ლოცვებზე არ სრულდება მოგზაურობისას. ხოლო რაც შეეხება სხვა ნაფილე ლოცვებს — ისინი კვლავ რჩებიან

---

[1] ეს ჰადისი გადმოსცა იმამ მუსლიმმა წიგნში "მეჩეთების შესახებ", თავში "გამორჩენილი ლოცვების ანაზღაურება", ნომრით: 681.

[2] ეს ჰადისი გადმოსცა იმამ მუსლიმმა წიგნში "მეჩეთების შესახებ", თავში "გამორჩენილი ლოცვების ანაზღაურება", ნომრით: 680.

დაშვებულად და ალლაჰი არის წარმატების მომნიჭებელი.

მოგზაურს ნებადართული აქვს ნაფილე ლოცვის შესრულება მოგზაურობის დროს თავისი სატრანსპორტო ცხოველიდან — ნებისმიერი მიმართულებით, თუნდაც ყიბლას მიმართულების გარეშე. "საჰიჰ ალ-ბუხარში" გადმოცემულია ჯაბირ იბნ აბდულლაჰის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰადისი:

أَنَّ النَّبِيِّ ﷺ كَانَ يُصَلِّي عَلَى رَاحِلَتِهِ نَحْوَ الْمَشْرِقِ، فَإِذَا أَرَادَ أَنْ يُصَلِّيَ الْمَكْتُوبَةَ –يَعنِي: الفَرِيضَةَ– نَزَلَ، فَاسْتَقْبَلَ الْقِبْلَةَ.

«შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ნებაყოფლობით ლოცვებს ასრულებდა თავისი მხედარი ცხოველიდან აღმოსავლეთის მიმართულებით. ხოლო როდესაც სავალდებულო ლოცვის შესრულება სურდა — ჩამოდიოდა და ყიბლასკენ მიემართდებოდა».[1]

მოგზაურობის წესებიდან არის, რომ სასურველია მოგზაურს ჰყავდეს

[1] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ლოცვის შემოკლების შესახებ", თავში "სავალდებულო ლოცვისთვის სატრანსპორტო ლოცვისთვის ჩამოსვლა", ნომრით: 1099.

თანამგზავრები — ადამიანები საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. არ არის სასურველი, რომ ადამიანი მარტო გაემგზავროს, გარდა განსაკუთრებული საჭიროების ან რელიგიური სარგებლის შემთხვევაში — როგორიცაა ჯიჰადი ალლაჰის გზაზე და მსგავსი. "საჰიჰ ალ-ბუხარში" აბდულლაჰ იბნ უმარისგან (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«لَوْ يَعْلَمُ النَّاسُ مَا فِي الْوَحْدَةِ مَا أَعْلَمُ مَا سَارَ رَاكِبٌ بِلَيْلٍ وَحْدَهُ».

„რომ იცოდნენ ადამიანებმა ის, რაც მე ვიცი მარტო მოგზაურობის შესახებ, არც ერთი მხედარი არ გაბედავდა ღამით გზაზე მარტო გასვლას თანამგზავრის გარეშე».[1]

ასევე სასურველია, რომ მას თან ჰქონდეს დოკუმენტი ან რამე, რაც ადასტურებს მის სახელსა და მისამართს, რათა საჭიროების შემთხვევაში — ავარიის ან სხვა შემთხვევის დროს — არ დარჩეს უცნობად.

---

[1] ამ ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ჯიჰადის შესახებ", თავში: "მარტო მოგზაურობის შესახებ", ნომრით: 2998.

ასევე მოგზაურობის დადგენილებებიდან არის: ქალს არ აქვს ნებადართული მოგზაურობა მაჰრამის გარეშე — არ აქვს მნიშვნელობა, შორია მოგზაურობა თუ ახლო, ჰაჯობისთვის არის თუ სხვა მიზნისთვის, ახალგაზრდაა თუ ხანდაზმული და შეუხედავი, ახლავს თუ არა მას სხვა ქალები ნათესავებიდან ან მეგობრებიდან, და არის თუ არა უსაფრთხოება უზრუნველყოფილი ან სავარაუდო. არ აქვს მნიშვნელობა, თვითმფრინავით მოგზაურობს თუ სხვა ტრანსპორტით. "საჰიჰ ალ-ბუხარში" და "საჰიჰ მუსლიმში" გადმოცემულია იბნ აბბასის (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) ჰადისი, რომ მან თქვა: მე მოვისმინე, როცა შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ქადაგების დროს ამბობდა:

«لَا يَخْلُوَنَّ رَجُلٌ بِامْرَأَةٍ إِلَّا وَمَعَهَا ذُو مَحْرَمٍ، وَلَا تُسَافِرِ الْمَرْأَةُ إِلَّا مَعَ ذِي مَحْرَمٍ»، فَقَامَ رَجُلٌ فَقَالَ: يَا رَسُولَ اللهِ، إِنَّ امْرَأَتِي خَرَجَتْ حَاجَّةً، وَإِنِّي اكْتُتِبْتُ فِي غَزْوَةِ كَذَا وَكَذَا، قَالَ ﷺ: «انْطَلِقْ، فَحُجَّ مَعَ امْرَأَتِكَ».

«ნურასდროს იქნება კაცი ქალთან მარტო, თუ მასთან ერთად არ არის მაჰრამი. და ქალისთვის

არაა ნებადართული მოგზაურობა, გარდა მაშინ, როცა მასთან არის მაჰრამი».

მაშინ ერთმა კაცმა წამოდგა და თქვა: "ო, ალლაჰის შუამავალო ჩემი ცოლი ჰაჯობისთვის გაემგზავრა, ხოლო მე ჩავეწერე ჯიჰადის ლაშქრობაში ამა და ამ ბრძოლაში". შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უთხრა: «წადი და გააკეთე ჰაჯობა შენს ცოლთან ერთად».[1] ამრიგად, მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მკაცრად აუკრძალა ქალებს მოგზაურობა მაჰრამის გარეშე. მან არ დაუსვა იმ კაცს კითხვები [იმის გასარკვევად, შეიძლებოდა თუ არა მისი ცოლისთვის გამონაკლისის დაშვება], რაც იმას ნიშნავს, რომ ეს აკრძალვა ვრცელდება მოგზაურობის ყოველ სახეობაზე, ყველა ქალზე, და არ არის დამოკიდებული გარემოებებზე.

მაჰრამია: ქალის ქმარიც და ის ყველა პირი, ვისთანაც ქალისთვის ქორწინება სამუდამოდ აკრძალულია — იქნება ეს სისხლით

[1] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ჯიჰადის შესახებ", თავში "ვინც ჩაიწერა ლაშქარში, ხოლო მისი ცოლი ჰაჯობაზე გაემგზავრა", ნომრით: 3006; და მუსლიმმა წიგნში "ჰაჯობის შესახებ", თავში "ქალის მოგზაურობა მაჰრამთან ერთად", ნომრით 1341.

ნათესაობის, რძის ნათესაობის (ძუძუთი) ან ქორწინებით ნათესაობის გამო.

მაჰრამები ნათესაობის ან ძუძუთი ნათესაობის ხაზით შვიდია: მამა და მისი ზემდგომნი (ბაბუა და ა.შ.); შვილი და მისი ქვემდგომნი (შვილიშვილი და ქვემოთ); ძმა და მისი შვილები; დისშვილი (დის შვილი და ქვემოთ); ბიძა (მამის ძმა) და მისი ზემდგომნი; ბიძა (დედის ძმა) და მისი ზემდგომნი.

მაჰრამები ქორწინებით ოთხია: ქმართან დაკავშირებული მამაკაცები პირდაპირ აღმავალი ხაზით — ქმრის მამა და მისი წინაპრები; ქმართან დაკავშირებული მამაკაცები პირდაპირ დაღმავალი ხაზით — ქმრის შვილი და მისი შთამომავლები; მის მხარეს არსებული ქალების ქმრები პირდაპირ დაღმავალი ხაზით — ქალიშვილის ქმარი, შვილიშვილის ქმარი, შვილთაშვილის ქმარი და ასე შემდეგ; მის მხარეს არსებული ქალების ქმრები პირდაპირ აღმავალი ხაზით — დედის ქმარი, ბებიის ქმარი, დიდბებიის ქმარი და ასე

შემდეგ — იმ პირობით, რომ შესაბამის წყვილებს შორის სქესობრივი კავშირი შედგა.

აუცილებელია, რომ მაჰრამი იყოს სრულწლოვანი და გონიერი (გონებრივად ჯანმრთელი), რადგან მცირეწლოვანი ან გონებაჩლუნგი პირი არ იკმარება, რომ ქალს ნებადართული ჰქონდეს მასთან ერთად მოგზაურობა.

ამასთან დაკავშირებით, თუ ქალს მაჰრამი არ ჰყავს, მასზე ჰაჯობის ვალდებულობა არ არის, რადგან ჰაჯობის შესრულებისთვის მას არ აქვს შესაძლებლობა, რაც ამ თაყვანისცემის სავალდებულო ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ჰაჯობა როდის გახდა სავალდებულო?

ჰაჯობა გახდა სავალდებულო ჰიჯრის მეცხე ან მეათე წელს — სწავლულების უმრავლესობის მოსაზრებით — რადგან მისი სავალდებულობა დადგინდა უზენაესი ალლაჰის ამ სიტყვებით:

﴿...وَلِلَّهِ عَلَى ٱلنَّاسِ حِجُّ ٱلۡبَيۡتِ مَنِ ٱسۡتَطَاعَ إِلَيۡهِ سَبِيلٗاۚ وَمَن كَفَرَ فَإِنَّ ٱللَّهَ غَنِيٌّ عَنِ ٱلۡعَٰلَمِينَ﴾ [آل عمران:٩٧]

«და ალლაჰისათვის ხალხს ევალება მოლოცვა ამ სახლისა, ვისაც მასთან მისვლა შეუძლია(ე.ი საშუალება და ძალა). და ვინც უარყო, ჭეშმარიტად, ალლაჰი მდიდარია სამყაროებსა ზედა» [აალი 'იმრაან: 97]. ეს აიათი მოთავსებულია სურა ალ-იმრანის დასაწყისში, რომელიც გარდმოევლინა ჰიჯრის მეცხრე წელს, როდესაც სხვადასხვა ტომები მასობრივად მოდიოდნენ ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ისლამის მისაღებად.

ჰაჯის გვიან დავალდებულების მიზეზი — ხოლო ამის შესახებ უკეთ იცის ალლაჰმა — იმაში მდგომარეობს, რომ მექქა, ალლაჰმა აამაღლოს იგი, ამ დრომდე ურწმუნოთა — ყურაიშის ტომის — ხელში იმყოფებოდა, და მოციქულს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავის თანამგზავრებთან ერთად არ შეეძლო ჰაჯობის სწორად შესრულება. საკმარისია გავიხსენოთ ჰუდაიბიას მოვლენები (ჰიჯრის მე-6 წელს), როდესაც მექქის მუშრიქებმა ხელი შეუშალეს ალლაჰის მოციქულს (ალლაჰის

ლოცვა და მვიდობა მას) და მის თანამგზავრებს უმრას დასრულებაში.

ჰაჯობა სავალდებულოა ყოველი მუსლიმისთვის, რომელიც არის სრულწლოვანი, გონიერი და ფლობს შესაძლებლობას ჰაჯობის შესრულებისთვის, იქნება ეს ქონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობა.

რაც შეეხება არასრულწლოვანს — მასზე ჰაჯობა სავალდებულო არ არის, თუმცა თუ მან შეასრულა იგი, ეს მიღებულია, და მას ამისთვის ენიჭება ნაფილე ჰაჯობის ანაზღაურება. მაგრამ როდესაც სრულწლოვანებას მიაღწევს, მასზე სავალდებულოა შეასრულოს სავალდებულო ჰაჯობა, რადგან რაც მან ადრე შეასრულა, იყო ჰაჯობა მანამდე, სანამ მას დაეკისრებოდა შარიათულად. ეს იგივეა, რაც სავალდებულო ლოცვის შესრულება მისი დადგომის დრომდე.

ვინც ვერ ასრულებს ჰაჯობას ქონებრივი უუნარობის გამო — როგორიცაა ღარიბი ან მონა — მასზე ჰაჯობა სავალდებულო არ არის, უზენაესი ალლაჰის სიტყვების მიხედვით:

﴿...مَنِ ٱسۡتَطَاعَ إِلَيۡهِ سَبِيلٗاۚ...﴾ [آل عمران:٩٧]

«ვინც შეძლებს მის (ქააბას)კენ გზას». და თუ ეს ადამიანი არ არის შემძლე, მასზე ჰაჯობის შესრულება სავალდებულო არ არის.

რაც შეეხება ადამიანს, რომელიც ფიზიკურად არის უუნარო, მაგრამ მხოლოდ სხეულით (მაგრამ არა ქონებრივად):

– თუ ეს უუნარობა არ არის სავარაუდოდ დროებითი — მაგალითად, სიბერე ან მუდმივი ავადმყოფობა — მაშინ მას შეუძლია დანიშნოს სხვა პირი, რომ ჰაჯობა შეასრულოს მის მაგივრად. მაგრამ თუ ეს უუნარობა დროებითია და მოსალოდნელია განკურნება — მაგალითად, დროებითი დაავადება — მაშინ მან უნდა დაელოდოს გამოჯანმრთელებას და შემდეგ თავისით შეასრულოს ჰაჯობა. ხოლო თუ ის გარდაიცვალა მანამ, სანამ გამოჯანმრთელდებოდა და ჰაჯობას შეასრულებდა, მაშინ ჰაჯობა უნდა შესრულდეს მის ნაცვლად მისი ქონებიდან (მემკვიდრეობის ნაწილი დაიხარჯოს ჰაჯობაზე).

როგორც კი ჰაჯობა მორწმუნე მუსლიმისთვის სავალდებულო გახდება, მან უნდა შეასრულოს იგი პირველივე შესაძლებლობისას, რადგან ალლაჰისა და მისი მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ბრძანებები გულისხმობს დაუყოვნებლივ შესრულებას, თუ ისინი არ არის დაკავშირებული კონკრეტულ დროსთან და არ არსებობს მითითება გადადების შესაძლებლობაზე. ამაზეა საუბარი ჰადისში, რომელიც გადმოცემულია იბნ აბბასისგან — ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით და მისი მამით — სადაც მოყვანილია მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) შემდეგი სიტყვები:

«تَعَجَّلُوا إِلَى الْحَجِّ - يَعْنِي الْفَرِيضَةَ -، فَإِنَّ أَحَدَكُمْ لَا يَدْرِي مَا يَعْرِضُ لَهُ».

«იჩქარეთ ჰაჯობის შესრულება — იგულისხმება სავალდებულო ჰაჯობა— რადგან თქვენგან არც ერთმა არ იცის, რა შეიძლება შეემთხვას მას (მოულოდნელად)».[1] ჰადისი

[1] ჰადისი გადმოცემულია იმამ აჰმადის მიერ მის მუსნადში (1/314).

გადმოცემულია იმამ აჰმადის მიერ, თუმცა მის ისნადში არსებობს სისუსტე. მიუხედავად ამისა, ჰაჯობის დაუყოვნებლივ შესრულების აზრს მხარს უჭერს მრავალი ზოგადი მტკიცებულება, რომლებიც ამ ჰადისის შინაარსს ამყარებს.

საიდან უნდა შევიდეს იჰრამში ის, ვინც ჰაჯის ან უმრას შესრულებას აპირებს?

ვისაც აქვს განზრახვა, რომ შეასრულოს ჰაჯი ან უმრა, უნდა შევიდეს იჰრამის მდგომარეობაში ერთ-ერთ იმ ადგილას (მიიყათში), რომლებიც დაადგინა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას). ასეთი მიიყათები ხუთია:

პირველი: ზულჰულეიფა— რომელსაც ასევე ეწოდება "აბიარ ალი" — ის არის მიიყათი მედინელებისთვის და მათთვისაც, ვინც მედინას გზით გადის, მიუხედავად იმისა, მედინელები არიან თუ არა.

მეორე: ალ-ჯუჰფა — ეს არის ძველი სოფელი, რომელიც გაუქმდა და მის მაგივრად ხალხმა მიიყათად აირჩია რაბიღი. იგი არის მიყათი შამელებისთვის (სირია, ლიბანი, იორდანია,

პალესტინა) და მათთვისაც, ვინც ამ გზით მოდის, თუ მანამდე არ გაუვლიათ ზულ ჰულაიფა.

მესამე: იალამლამა — ეს არის მთა ან ადგილი თიჰამას მხარეში, რომელსაც ასევე უწოდებენ „ას-სა‘დია“. ის არის მიიყათი იემენელებისთვის და იმ ადამიანებისთვისაც, ვინც ამ გზით მოდის, თუნდაც იემენელი არ იყოს.

მეოთხე: ყარნულ მანააზილ— რომელსაც ასევე ეწოდება „ას-საილ“ — ეს არის მიიყათი ნეჯდელებისთვის (საუდის არაბეთის ცენტრალური რეგიონი) და იმათთვისაც, ვინც ამ გზით გადის, მიუხედავად მათი წარმოშობისა.

მეხუთე: ზაათუ 'ირყ— რომელსაც ასევე ეწოდება „ად-დარიიბა“ — ეს არის მიყათი ერაყელებისთვის და იმათთვისაც, ვინც ამ გზით მოდის, თუნდაც ერაყელი არ იყოს.

ვინც ამ მიიყათებს გაივლის ჰაჯის ან უმრაჰს შესრულების განზრახვით — მასზე სავალდებულოა, რომ ამ ადგილიდანვე შევიდეს იჰრამში.

ვინც ამ მიიყათების პარალელურ პოზიციას გაივლის საჰაერო ან საზღვაო გზით — მასზე სავალდებულოა, რომ იჰრამში შევიდეს იმ მომენტში, როცა მიიყათის გასწვრივ გადის. არ აქვს ნებართვა გადადოს იჰრამში შესვლა მანამ, სანამ თვითმფრინავი არ დაეშვება აეროპორტში ან ხომალდი არ მიადგება ნავსადგურს — რადგან ეს ნიშნავს ალლაჰის საზღვრების დარღვევას.

﴿...وَمَن يَتَعَدَّ حُدُودَ ٱللَّهِ فَأُوْلَٰٓئِكَ هُمُ ٱلظَّٰلِمُونَ﴾ [البقرة:٢٢٩]

და ვინც გადასცდება ალლაჰის დადგენილ საზღვრებს, სწორედ, ისინი არიან უსამართლონი! [სურა ალ-ბაყარა: 229]

ვინც ამ მიიყათებსა და მექქას შორის იმყოფება — იჰრამში შევა იქიდან, სადაც იმ დროს იმყოფება. ხოლო ვინც უკვე მექქაშია — ჰაჯობისთვის იჰრამში მექქადანვე შევა. მაგრამ რაც შეეხება უმრას — მექქაში მყოფნი უნდა შევიდნენ იჰრამში ჰარამის (წმინდა ზონის) გარედან, ანუ მექქის გარე საზღვრებიდან, მიიყათის ზონიდან, ამის დასტურად

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აბდურრაჰმან იბნ აბუ ბაქრს უთხრა:

«اخْرُجْ بِأُخْتِكَ -يعني: عَائِشَةَ- من الْحَرَمِ، فَلْتُهِلَّ بِعُمْرَةٍ».

«გაიყვანე შენი და (ანუ აიშა) ჰარამის საზღვრებს გარეთ, რათა შევიდეს იჰრამის მდგომარეობაში უმრასთვის».[1]

ვინც ამ მიიყათებს გაივლის ისე, რომ არ აქვს ჰაჯობის ან უმრას განზრახვა — მაგალითად, თუ მიდის ვაჭრობისთვის, ნათესავის მოსანახულებლად, ცოდნის საძიებლად და ა.შ. — მასზე იჰრამში შესვლა სავალდებულო არ არის. რადგან ჰაჯობა და უმრა მხოლოდ ერთხელ არის სავალდებულო მთელი სიცოცხლის განმავლობაში, და იჰრამი სავალდებულოა მხოლოდ ჰაჯობის ან უმრას განზრახვის შემთხვევაში.

---

[1] ეს ჰადისი გადმოცემულია ალ-ბუხარის მიერ წიგნში "ჰაჯობის შესახებ", თავში "უზენაესი ალლაჰის სიტყვების შესახებ: «ჰაჯობა [სრულდება] ცნობილ თვეებში», ნომრით: 1560 და მუსლიმის მიერ წიგნში "ჰაჯობის შესახებ", თავში "იჰრამის სახეებისა და ფორმების განმარტება", ნომრით: 1211/123 — გადმოცემული აიშას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) სიტყვებით.

ჰაჯობის სახეები და მათგან საუკეთესო.

ჰაჯობის შესრულების სამი სახეა: ათ-თამათთუ', ალ-ყირაან და ალ-იფრად.

ათ-თამათთუ' ნიშნავს — ადამიანი იჰრამში შევა უმრასთვის ჰაჯობის თვეების განმავლობაში (ანუ შავვალის დასაწყისიდან დაწყებული), დაასრულებს უმრას, შემდეგ კი ჰაჯობის იმავე სეზონზე ხელახლა შევა იჰრამში ჰაჯობისათვის.

ალ-ყირანი ნიშნავს — მომლოცველი (პილიგრამი-ჰაჯი)შედის იჰრამის მდგომარეობაში ერთდროულად ჰაჯისა და უმრასთვის, ან შედის იჰრამში უმრას განზრახვით და შემდეგ, სანამ უმრას ტავაფს დაიწყებს, ამატებს განზრახვას ჰაჯის შესრულების შესახებ.

ალ-იფრად ნიშნავს — იჰრამში შესვლას მხოლოდ ჰაჯობის განზრახვით, უმრას გარეშე.

სწავლულების უმრავლესობის აზრით, ადამიანს ნებადართული აქვს ამ სამიდან ნებისმიერი ჰაჯობის ფორმა აირჩიოს. თუმცა მათ შორის განსხვავება იმაშია, თუ რომელი

ფორმაა საუკეთესო. სწორად მიჩნეულია, რომ ყველაზე უპირატესი და საუკეთესო ფორმა არის ათ-თამათთუ'— რადგან ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამ ფორმის შესრულება უბრძანა თავის საჰაბებს და თავადაც მოუწოდა მათ, ასევე ის არის ყველაზე სრული, რადგან მოიცავს როგორც უმრას ყველა ქმედებას, ასევე ჰაჯობის სრულად შესრულებას. და ის უფრო მარტივიც არის იმათთვის, ვინც მექქაში ადრე ჩამოდის — რადგან შეუძლია ისარგებლოს იმ მდგომარეობით, რაც უმრასა და ჰაჯობის შორის პერიოდშია.

ჰაჯ თამათთუ'ს შესრულებისას მომლოცველი ვალდებულია შესწიროს ერთი ცხვარი, ან ერთი მეშვიდედი აქლემისა, ან ერთი მეშვიდედი ძროხისა. ეს ითვლება მადლიერების ნიშნად შეწირულად და არ წარმოადგენს ცოდვის შესაწირავის სახით გამოსყიდვას. შეწირვა სრულდება მინას ველზე ან მექქაში დღესასწაულის დღეს ('იდ ალ-ადჰა) ან მას შემდეგ მომდევნო სამი დღის განმავლობაში. მომლოცველისთვის ნებადართულია

დააგემოვნოს იმ ცხოველის ხორცი, რომელიც მან შესწირა.

თუ მას არ შეუძლია შესაწირავის დაკვლა, მაშინ ვალდებულია იმარხულოს ათი დღე, გაყოფილი ორ ნაწილად — სამი დღე ჰაჯობის მიმდინარეობისას, რისი დასრულებაც უნდა მოესწროს ათ-თაშრიყის დღეების დასრულებამდე (ანუ ზულ-ჰიჯჯას 13 რიცხვამდე ჩათვლით), ხოლო დარჩენილი შვიდი დღე — სახლში დაბრუნების შემდეგ.

ყირანის შემსრულებელი იმავე განაჩენს ექვემდებარება, რაც თამათთუ’-ჰაჯის შემსრულებელი — მასზეც სავალდებულოა მსხვერპლის შეწირვა ან მის ნაცვლად მარხვა, იმავე წესებით.

თამათთუ’- ჰაჯის ფორმა: იჰრამში შესვლიდან უმრასთვის ჰაჯობის დასრულებამდე – მოკლე აღწერა.

(ა) უმრა

1 — როდესაც ადამიანი აპირებს იჰრამში შესვლას უმრასთვის, უნდა გააკეთოს დიდი განბანვა ისევე, როგორც ჯუნუბობის დროს,

შემდეგ წაისვას საუკეთესო სურნელი, რაც აქვს თავზე და წვერზე, შემდეგ ჩაიცვას თეთრი ქვედა ტანსაცმელი და ზედა მოსასხამი. ქალი კი ჩაიცვამს რაც უნდა, შარიათის შესაბამისად — ოღონდ არ უნდა გამოეწყოს სამკაულით ან მიმზიდველი ფორმით, არ უნდა გამოაჩინოს მორთულობა ან სილამაზე.

2 — შემდეგ, თუ სავალდებულო ლოცვის დროა, ასრულებს სავალდებულო ლოცვას, რათა მის შემდეგ შევიდეს იჰრამში.

თუ სავალდებულო ლოცვის დრო არ არის — მაშინ ასრულებს ორ რაქათ ნაფილე ლოცვას აბდესის სუნნას განზრახვით, და არა იჰრამის სუნნას განზრახვით — რადგან შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არ არის დამტკიცებული, რომ იჰრამს სუნნა ლოცვა ჰქონდეს.

3 — ლოცვის დასრულების შემდეგ, ის გააკეთებს განზრახვას უმრაში შესვლისთვის და იტყვის: "შენს წინ ვარ, ალლაჰო, შენს წინ ვარ! შენს წინ ვარ, არავინ გყავს თანამოზიარე, შენს წინ ვარ! მართლაც, ქება, დიდება და მეუფება შენ

გეკუთვნის, არავინ გყავს თანამოზიარე. შენს წინ ვარ, ალლაჰო, უმრით!" ლაბბაიქა ლლაჰუმმა, ლაბბაიქ, ლაბბაიქა ლაა შარიიქა ლაქა ლაბბაიქ, ინნალ ჰამდა, ვანნი'მათა, ლაქა ვალმულქ, ლაა შარიიქა ლაქ, ლაბბაიქალლაჰუმმა 'უმრათან".

მამაკაცი ამ სიტყვებს ხმამაღლა ამბობს, ხოლო ქალი — ჩუმად.

სუნნაა, რომ ხშირად წამოითქვას "ლაბბაიქალლაჰჰუმმა ლაბაიქ". — სანამ ადამიანი არ დაიწყებს ტავაფს, რომლის დროსაც იგი წყვეტს თალბიას თქმას.

4 — როდესაც მექქაში ჩავა, დაუყოვნებლივ იწყებს ტავაფს. მიდის შავ ქვასთან და ცდილობს მას ხელი შეახოს (მარჯვენა ხელით) და აკოცოს, თუ ხალხის რაოდენობა ქააბის გარშემო ამის შესაძლებლობას იძლევა. თუ არა — მაშინ უბრალოდ მარჯვენა ხელით მიუთითებს მისკენ და წარმოთქვამს თაქბირს — "ალლაჰუ აქბარ".

შემდეგ ის იღებს მიმართულებას ისე, რომ ქააბა რჩება მის მარცხნივ (უვლის მას მარცხენა მხრიდან). როცა მივა იამაანის კუთხესთან — ანუ ბოლო კუთხესთან, რომელიც გადის შავ

ქვამდე — ხელს მოკიდებს მარჯვენა ხელით, თუ ამის შესაძლებლობაა, მაგრამ არ აკოცებს.

და ტავაფს ასრულებს შვიდი წრით; მამაკაცი პირველი სამი წრის განმავლობაში მოძრაობს ჩქარა (ე.წ. რამლს ასრულებს), ხოლო ტავაფის განმავლობაში მთლიანად იყენებს იდტიბა'ს — ანუ ტანისამოსს ისე იფარებს, რომ მარჯვენა მხარი დარჩეს გახდილი.

რამლი ნიშნავს — სწრაფ სიარულს მოკლე ნაბიჯებით.

იდტიბა‘ ნიშნავს: როდესაც პილიგრიმი თავისი იჰრამის ზედა ნაწილის (რიდას) შუა ნაწილს ატარებს მარჯვენა იღლიის ქვემოდან, და ორივე ბოლო გადაჰყავს მარცხენა მხარზე — ისე, რომ მარჯვენა მხარი გახდილი რჩება, ხოლო მარცხენა დაფარულია. ეს კეთდება ტავაფის დროს, მხოლოდ მამაკაცებისთვის.

ტავაფის დროს ახსენებს ალლაჰს, ადიდებს მას, და სთხოვს(ალლაჰს) იმას, რაც სურს მორჩილებით და გულის სრულად ჩართულობით, ყოველ ჯერზე, როცა შავ ქვასთან

მივა — ამბობს ალლაჰუ აქბარ. და იამაანის კუთხესა და შავ ქვას შორის ამბობს:

﴿...رَبَّنَآ ءَاتِنَا فِي ٱلدُّنۡيَا حَسَنَةٗ وَفِي ٱلۡأٓخِرَةِ حَسَنَةٗ وَقِنَا عَذَابَ ٱلنَّارِ﴾

[البقرة:٢٠١]

«ღმერთო ჩვენო, მოგვმადლე სიკეთე ამქვეყნად და სიკეთე – იმქვეყნადაც, და დაგვიფარე სატანჯველისგან ცეცხლისა» რაბბანაა აათინაა ფიდდუნიაა ჰასანათან ვა ფილ აახირათი ჰასანათან ვა ყინაა 'აზააბანნაარ. [ალ-ბაყარა: 201]. რაც შეეხება ტავაფის ყოველი წრისთვის კონკრეტულ დუის წარმოთქმას — ამას არ აქვს საფუძველი სუნნაში, და სინამდვილეში ეს არის სიახლე (ბიდა) რელიგიაში.

როცა ტავაფს დაასრულებს, ასრულებს ორ რაქათ ლოცვას იბრაჰიმის ადგილის უკან, თუნდაც შორს მდგარი ადგილი იყოს. პირველ რაქათში ალ-ფათიჰას შემდეგ კითხულობს:

﴿قُلۡ يَٰٓأَيُّهَا ٱلۡكَٰفِرُونَ ١﴾

{უთხარი: ჰეი, ურწმუნოებო}, ალ-ქააფირუნ: მეორეში:

﴿قُلۡ هُوَ ٱللَّهُ أَحَدٌ ١﴾

"თქვი: იგია, ალლაჰი ერთადერთი! [ალ-იხლას: 1]

6 — შემდეგ ასრულებს — საფასა და მარვას შორის შემოვლას — შვიდი წრით. იწყებს საფადან და ასრულებს მარვაზე.

სუნნაა, რომ საფასა და მარვაზე ავიდეს, ყიბლას მიმართულებით დადგეს, ასწიოს ხელები, ახსენოს ალლაჰი, ილოცოს და დუა გააკეთოს.

მამაკაცისთვის სუნნაა, რომ ორ მწვანე ნიშნულს შორის სწრაფად იაროს (საშუალო სირბილით ან ენერგიული სვლით).

7 — როცა სირბილს დაასრულებს, მამაკაცი შეიჭრის თავის თმებს — ისე, რომ თავის ყველა ნაწილიდან მოაკლოს (არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი მხრიდან). ქალი კი შეიჭრის თმებს თითის წვერის სიგრძით (დაახლოებით ერთი სანტიმეტრი).

ამით უმრა სრულდება, და ის (მუსლიმი) გამოდის იჰრამის მდგომარეობიდან. ამ ეტაპიდან მას ნებადართული აქვს ყველაფერი,

რაც ალლაჰმა დაუშვა იჰრამში შესვლამდე — ჩვეულებრივი ტანსაცმლის ჩაცმა, სუნამოების გამოყენება, ქორწინება და სხვა.

(ბ) ჰაჯობა

1 — როცა დადგება ზულ-ჰიჯჯის მერვე დღე, პილიგრიმი ჰაჯობის განზრახვით იჰრამში შევა იქიდანვე, სადაც იმ დროს იმყოფება.

იჰრამში შესვლისას ის იმავეს აკეთებს, რაც უმრას იჰრამის დროს: ასრულებს განბანვას, იყენებს სუნამოს მხოლოდ სხეულზე, არა ტანსაცმელზე, და იცვამს იჰრამის ტანსაცმელს.

2 — როცა დაასრულებს, მაშინ გააკეტებს განზრახვას ჰაჯობის შესასრულებლად და ამბობს: "შენს წინ ვარ, ალლაჰო, შენს წინ ვარ! შენს წინ ვარ, არავინ გყავს თანამოზიარე, შენს წინ ვარ! მართლაც, ქება, დიდება და მეუფება შენ გეკუთვნის, არავინ გყავს თანამოზიარე. შენს წინ ვარ, ალლაჰო, ჰაჯობის განზრახვით!"/ლაბბაიქა ლლაჰუმმა, ლაბბაიქ, ლაბბაიქა ლაა შარიიქა ლაქა ლაბბაიქ, ინნალ ჰამდა, ვანნი'მათა, ლაქა ვალმულქ, ლაა შარიიქა ლაქ, ლაბბაიქალლაჰუმმა 'ჰაჯჯან".

მამაკაცი ამას ხმამაღლა ამბობს, ხოლო ქალი — ჩუმად.

სუნნაა ხშირად და მრავლად თალბიას თქმა („ლაბბააიქალლაჰჰუმმა ლაბბაიქ“) — სანამ არ ისვრის ჯამრათ ალ-აყაბას ქვას დღესასწაულის დღეს (ზულ-ჰიჯჯის 10 რიცხვს). ამ დროს თალბიას წყვეტს.

3 — შემდეგ მიემგზავრება მინაში, სადაც ასრულებს ზუჰრის, ასრის, მაღრიბის, იშასა და ფაჯრის ლოცვებს. ოთხრაქაათიან ლოცვებს ასრულებს შემოკლებით — ორ რაქათად, მაგრამ არ აერთიანებს ლოცვებს (არ აკეთებს შეერთებას).

4 — ზულ-ჰიჯჯას მეცხრე დღის ამოსვლის შემდეგ მომლოცველი მიემართება არაფათის ველზე. თუ შესაძლებელია, გზად ჩერდება ნამირას მეჩეთში და რჩება იქ ზუჰრის ლოცვამდე; თუ არა — მაშინ პირდაპირ მიდის არაფათზე. ზუჰრის შემდეგ ის ასრულებს ზუჰრის და ასრის ლოცვებს შემოკლებით და გაერთიანებით, შემდეგ კი მზის ჩასვლამდე

დროს უძღვნის ალლაჰის ხსენებასა და დუას, დამდგარი ყიბლას მიმართულებით, მაშინაც კი, თუ არაფათის მთა მის უკან რჩება.

5 — როცა მზე ჩავა, მიემგზავრება მუზდალიფაში. იქ ასრულებს მაღრიბს სამი რაქათით და იშას — ორი რაქათით (შემოკლებით). ამის შემდეგ იქ რჩება ღამით. როცა დადგება ფაჯრის დრო, ასრულებს ფაჯრის ლოცვას, შემდეგ კი დაკავდება ალლაჰის ხსენებითა და ვედრებით — ვიდრე დილა ნათლად არ გათენდება (მზის ამოსვლამდე).

6 — როცა დილა ნათლად გათენდება, მიემგზავრება მინაში.

როცა მიაღწევს, პირველ რიგში იწყებს ჯამრათ ალ-აყაბას გასვრას — ის არის სამი ჯამრიდან მექქას ყველაზე ახლოს მყოფი.

ის აგდებს შვიდ პატარა ქვას ზედიზედ — თითოეული ქვა ოდნავ დიდი უნდა იყოს ლობიოზე. ყოველ ქვას აგდებს „ალლაჰუ აქბარ“-ის წარმოთქმით, მორჩილად და უზენაესი ალლაჰზე სრულად მოწიწებით.

როცა ჯამრათ ალ-აყაბას (ქვების სროლა) დაასრულებს, თუ შესაძლებლობა აქვს — ასრულებს მსხვერპლშეწირვას.

შემდეგ მთელ თავს მოიპარსავს ან შეიჭრის თმებს — და მოპარსვა უპირატესია. რაც შეეხება ქალს — მას ევალება მხოლოდ თავის თმების დამოკლება თითის წვერის სიგრძით.

პატარა ქვების სროლისა და თმის პარსვის ან შეჭრის შემდეგ პილიგრიმი გამოდის იჰრამის პირველი ეტაპიდან. ამ დროს მისთვის ნებადართული ხდება ჩაიცვას ტანსაცმელი, გამოიყენოს სუნამო და გააკეთოს ყველაფერი, რაც ალლაჰმა აკრძალა იჰრამის დროს — გარდა ქალებთან დაკავშირებული საკითხებისა (ქორწინება, სექსუალური სიახლოვე და ა.შ.). ეს იკრძალება მანამ, სანამ არ შესრულდება მეორე გამოხსნის ეტაპი.

შემდეგ ჩადის მექქაში, ასრულებს ჰაჯობის ტავაფს (ტავაფ ალ-იფადა), და შემდეგ ასრულებს სირბილს საფასა და მარვას შორის — იმავე წესით, როგორც უმრის დროს იყო აღწერილი.

თუმცა ამ ტავაფში აღარ აკეთებს სწრაფ სიარულს და არც მარჯვენა მხრის გამოშიშვლებას, რადგან ეს ორივე (რამლიც და იდტიბა'ც) კანონიერია მხოლოდ პირველ ტავაფში, როცა მექქაში პირველად შედის.

ტავაფისა და სა'ის შესრულების შემდეგ — რაც წინ უძღოდა ჯამრას სროლასა და თმის პარსვას ან შეჭრას — სრულდება მეორე გამოხსნის ეტაპი, ამით მისთვის ნებადართული ხდება ყველაფერი, რაც ალლაჰმა დაუშვა იჰრამამდე — მათ შორის ქალებთან დაკავშირებული საკითხებიც.

დღესასწაულის დღეს შესასრულებული რიტუალების მოკლე ჩამონათვალი:

ჯამრათ ალ-აყაბზე ქვის სროლა.

მსხვერპლის დაკვლა.

თმის პარსვა ან შეჭრა.

ტავაფი და სა'ი (გარბენა).

სუნნაა, რომ ეს მოქმედებები ზუსტად ამ რიგით შესრულდეს.

მაგრამ თუ მას არ შეუძლია და რომელიმეს წინსწრებით შეასრულებს — პრობლემა არ არის, და ეს დაშვებულია.

7 — მინაში ათევს ზულ-ჰიჯჯის მე-11 და მე-12 ღამეს.

8 — ზულ-ჰიჯჯის 11 და 12 რიცხვში, ზენიტის შემდეგ (ზუჰრის დროის შემდგომ), ის ისვრის სამივე ჯამრას კენჭებს: იწყებს პირველი ჯამრით — რომელიც ყველაზე შორს არის მექქიდან — მას ესვრის შვიდ პატარა ქვას ზედიზედ, და ყოველი ქვით სროლისას ამბობს ალლაჰუ აქბარ. როცა დაასრულებს, ცოტათი წინ მიდის, შორდება ბრბოს, დგება ყიბლას მიმართებით, ასწევს ხელებს და გულმოდგინედ ევედრება ალლაჰს ხანგრძლივი ვედრებით. შემდეგ ესვრის მეორე ჯამრას — იმავე წესით — და მის შემდეგაც დგება დუისთვის, როგორც პირველ ჯამრასთან. შემდეგ ისვრის მესამე ჯამრას — ჯამრათ ალ-აყაბას, რომელიც დღესასწაულის დღესაც ისროლა — ისე, როგორც პირველ ორს, მაგრამ ამ ჯამრის შემდეგ

აღარ დგება დუისთვის, რადგან ეს არ არის სუნნა.

9 — როცა მომლოცველი დაასრულებს ქვების სროლის რიტუალს ზულ-ჰიჯჯას მე-12 დღეს, მას შეუძლია დარჩეს მინას ველზე კიდევ ერთი დღე, ან დატოვოს იგი მზის ჩასვლამდე და ამით შემოიფარგლოს ორდღიანი შემოკლებული პროგრამით. ვინც დარჩება — და ეს უკეთესია, რადგან ასე მოიქცა მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მომლოცველი შეძლებს მეტი რიტუალის შესრულებას — ის ზულ-ჰიჯჯას მე-13 დღეს ასრულებს ქვების სროლის უკანასკნელ რიტუალს.

ამ დღეებსა და ღამეებში უმჯობესია ბევრჯერ თაქბირის წარმოთქმა და ალლაჰის ხშირი ხსენება, რადგან უზენაესი ალლაჰი ამბობს:

﴿وَٱذۡكُرُواْ ٱللَّهَ فِيٓ أَيَّامٖ مَّعۡدُودَٰتٖ...﴾ [البقرة:٢٠٣]

«და ახსენეთ ალლაჰი განსაზღვრულ დღეებში». [ალ-ბაყარა: 203]. შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქმით:

«أَيَّامُ التَّشْرِيقِ أَيَّامُ أَكْلٍ، وَشُرْبٍ، وَذِكْرِ اللهِ».

«თაშრიყის დღეები (11,12,13 ზულ-ჰიჯჯა) — ეს არის ალლაჰის ხსენების, ჭამისა და სმის დღეები».[1]

ამით ჰაჯობის ქმედებები სრულდება.

6 – გამოსამშვიდობებელი ტავაფი (ტავაფ ალ-ვადა').

როდესაც ჰაჯი ყველა ჰაჯობის ქმედებას დაასრულებს და სურს სამშობლოში დაბრუნება, მას არ აქვს ნებადართული მექქიდან გასვლა მანამ, სანამ არ შეასრულებს ალლაჰის სახლში გამოსამშვიდობებელ ტავაფს. ეს ტავაფი უნდა იყოს მისი გამგზავრების წინ ბოლო საქმე.

ჰაიდში მყოფი ქალი და ნიფასის პერიოდის ქალი (მშობიარობისშემდგომი სისხლდენით) გათავისუფლებულნი არიან გამოსამშვიდობებელი ტავაფისგან, როგორც იბნ აბბასმა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) თქვა: «ადამიანებს უბრძანეს, რომ ალლაჰის სახლში მათი ბოლო საქმე

[1] ეს ჰადისი გადმოცემულია იმამ მუსლიმის მიერ წიგნში "მარხვის წიგნი", თავში "თაშრიყის დღეებში მარხვის აკრძალვის შესახებ", №1141 — ნაბიშა ალ-ჰუზალის ჰადისიდან.

გამოსამშვიდობებელი ტავაფი ყოფილიყო — გარდა მენსტრუაციის პერიოდში მყოფი ქალისა, რომლისთვისაც ალლაჰმა შეამსუბუქა (გამონაკლისი დაუშვა)».[1]

იჰრამის აკრძალვები

იჰრამის აკრძალვები არის ის საქმეები, რომლებიც იკრძალება მხოლოდ იჰრამის მდგომარეობის გამო.

მოკლედ, ისინი ასეთია:

1 — თავის თმების მოცილება პარსვით ან სხვა საშუალებით.

სწავლულების უმრავლესობის აზრით, ამას თანასწორად მიეკუთვნება სხეულის სხვა ნაწილების თმების მოცილებაც.

2 — ფრჩხილების მოჭრა ხელიდან ან ფეხიდან.

სწავლულების უმრავლესობა მას თმის მოცილებას უმსგავსებს, რადგან ორივე საქმე

---

[1] ეს ჰადისი გადმოსცა ალ-ბუხარიმ წიგნში "ჰაჯობის შესახებ", თავში "გამოსამშვიდობებელი ტავაფის შესახებ", ნომრით: 1755; და მუსლიმმა წიგნში "ჰაჯობის შესახებ",ნომრით: "გამოსამშვიდობებელი ტავაფის ვალდებულების შესახებ", ნომრით: 1328/380.

მიჩნეულია ტანჯვისგან თავის არიდებად და კომფორტზე ზრუნვად.

3 — სუნამოს გამოყენება იჰრამში შესვლის შემდეგ — იქნება ეს სხეულზე, ტანსაცმელზე, საკვებზე თუ სასმელზე.

4 — ხელთათმანების ტარება, ანუ ხელებისთვის განკუთვნილი საფარი (დაფარება).

5 — სექსუალური სიახლოვე ან სხეულის ვნების გამომწვევი შეხება.

ამ ხუთი აკრძალვის გამოსასყიდი ხდება არჩევით — როგორც უზენაესმა ალლაჰმა ყურანში ახსენა თავის პარსვასთან დაკავშირებით, და სხვა დანარჩენ აკრძალვებსაც იგივე წესი მიესადაგა. იგი ირჩევს სამიდან ერთს: სამი დღის მარხვა, ექვსი ღარიბის გამოკვება — თითოეულისთვის ნახევარი სა’ი (დაახლოებით 1.5 კგ მარცვლეული), ან ერთი ცხვრის დაკვლა. გამოკვება და მსხვერპლის დაკვლა უნდა მოხდეს ღარიბებისთვის, ან მექქაში, ან იმ ადგილას, სადაც აკრძალვა დაირღვა.

6 — სექსუალური კავშირი სასქესო ორგანოში. თუ ჰაჯობის დროს ეს მოხდება პირველ გამოხსნამდე, ამის შედეგად ხდება ოთხი რამ:

1 — ის აფუჭებს იმ თაყვანისცემას, რომლის დროსაც სექსუალური კავშირი მოხდა.

2 — სავალდებულო ხდება ჰაჯობის (ან უმრის) პროცედურის დასრულება, მიუხედავად მისი ბათილობისა.

3 — სავალდებულოა მისი ანაზღაურება (ახლად ჰაჯობის შესრულება) მომდევნო წელს.

4 — გამოსასყიდად სავალდებულოა აქლემის დაკვლა, და მისი ხორცი უნდა განაწილდეს ღარიბებზე — ან მექქაში, ან იმ ადგილას, სადაც სექსუალური კავშირი მოხდა.

7 — ქორწინებასთან დაკავშირებელი შეთანხმების დადება იჰრამის დროს. ამ ქმედებაზე გამოსასყიდი არ ეკისრება, მაგრამ ასეთი შეთანხმება ბათილად ითვლება — არ აქვს მნიშვნელობა, ქორწინების მონაწილე თავად არის იჰრამში: იქნება ეს ქმარი, ცოლი, მეურვე ან მათი რწმუნებული.

8 — ველური ნადირის მოკვლა. ამის გამო მას ეკისრება ჯარიმა, რომელიც ხდება სამიდან ერთ-ერთი გზით: მსგავსი ცხოველის დაკვლა და მისი ხორცის განაწილება მექქაში მცხოვრებ ღარიბებზე, ან მოკლული ნადირის შეფასება ფულად და ამ ფასის შესაბამისი საკვების ყიდვა და განაწილება მექქას ღარიბებზე, ან ყოველ ღარიბზე ერთი დღის მარხვა (თუ საკვებს ვერ გაანაწილებს).

ეს რვა აკრძალვა, აკრძალულია ყოველი მუჰრიმისთვის — იქნება იგი მამაკაცი თუ ქალი. თუმცა შემდეგი ორი აკრძალვა სპეციალურად მამაკაცებს ეხება:

1 — თავის დაფარვა ისეთი ნივთით, რომელიც პირდაპირ ეხება თავზე (ქუდი, და სხვა მსგავსი). რაც შეეხება უშუალოდ არშემხებლობიან საფარებს — მაგალითად კარავი, მანქანის სახურავი ან ქოლგა — ეს დაშვებულია და პრობლემას არ წარმოადგენს.

2 — ნაკერავის ტარება, რაც გულისხმობს ყოველივეს, რაც შეკერილია სხეულზე, სხეულის ნაწილის ან კიდურის ზომაზე —

მაგალითად: პერანგი, შარვალი, ფეხსაცმელი. რაც შეეხება ამ დროს თეთრი ქსოვილის იზარსა და რიდას (თუნდაც შეკერილი ან დაკემსილი იყოს) — მათი ტარება დაშვებულია.

ასევე ნებადართულია ბეჭდის, საათის, სათვალის, სმენის აპარატის, საფულის ან მსგავსი ნივთების ტარება.

ქალს ეხება სპეციალურად შემდეგი აკრძალვა:

სახის დაფარვა ნებისმიერი ფორმით. ზოგი საწვლული ამბობს, რომ ქალისთვის იჰრამის დროს აკრძალულია მხოლოდ ნიყაბის ტარება — ანუ ისეთი საფარი, რომელსაც თვალების ადგილას ჭრილი აქვს. ყველაზე შესაფერისი არის, რომ ქალი საერთოდ არ ფარავდეს სახეს იჰრამის მდგომარეობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას უყურებენ უცხო მამაკაცები (არამაჰრამები) — მაშინ მას ევალება სახის დაფარვა, როგორც იჰრამის დროს, ასევე სხვა დროსაც.

და ამ სპეციალური აკრძალვებისთვის გამოსასყიდი არჩევითია — ისევე, როგორც წინა ხუთი აკრძალვის ფიდია იყო.

რა არის შარიათული განჩინება იმ ადამიანის შესახებ, ვინც ამ აკრძალულ ქმედებებს ჩაიდენს იჰრამში ყოფნის დროს?

წინა აკრძალვების დამრღვევისთვის არსებობს სამი მდგომარეობა:

პირველი: თუ ადამიანი აკრძალულ ქმედებას ჩაიდენს დაუდევრად — საჭიროების ან გამართლებული საბაბის გარეშე — მაშინ ის ცოდვილია და მასზე ვალდებულია გამოსასყიდი.

მეორე: თუ ადამიანი ჩაიდენს აკრძალულ ქმედებას საჭიროების გამო, მაშინ ის არ არის ცოდვილი, თუმცა მაინც ვალდებულია გადაიხადოს გამოსასყიდი. უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

﴿...فَمَن كَانَ مِنكُم مَّرِيضًا أَوۡ بِهِۦٓ أَذٗى مِّن رَّأۡسِهِۦ فَفِدۡيَةٞ مِّن صِيَامٍ أَوۡ صَدَقَةٍ أَوۡ نُسُكٖ...﴾ [البقرة:١٩٦]

«თუ რომელიმე თქვენგანი ავადაა, ან რაიმე სენმა თავი გადააპარსვინა, გამოსასყიდია მარხვა, მოწყალების გაღება ან შესაწირი». [სურა ალ-ბაყარა: 196] მაგალითად, თუ ადამიანი საჭიროებს თავის დაფარვას — სიცივის ან სიცხის გამო, რომლის გამოც საფრთხეს გრძნობს — მაშინ ნებადართულია დაფაროს თავი, მაგრამ მასზე მაინც ვალდებულია ფიდია(გამოსასყიდი), არჩევით იმ სამ ვარიანტს შორის, რაც ადრე აღვნიშნეთ.

მესამე: თუ ადამიანი აკრძალულ ქმედებას ჩაიდენს გამართლებულად — უცოდინრობით, დავიწყებით, იძულებით ან ძილში — მაშინ მასზე არც ცოდვაა და არც გამოსასყიდი ვალდებული. უზენაესი ალლაჰის სიტყვების მიხედვით:

﴿...رَبَّنَا لَا تُؤَاخِذۡنَآ إِن نَّسِينَآ أَوۡ أَخۡطَأۡنَا...﴾ [البقرة:٢٨٦]

«ღმერთო ჩვენო! ნუ მოგვკითხავ, თუკი დაგვავიწყდა ან შევცდით!» [ალ-ბაყარა: 286]. ჰადისში შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა:

«إِنَّ اللهَ تَجَاوَزَ عَنْ أُمَّتِي الْخَطَأَ وَالنِّسْيَانَ وَمَا اسْتُكْرِهُوا عَلَيْهِ».

«ჭეშმარიტად, ალლაჰმა აპატია ჩემს უმმას შეცდომით, დავიწყებით და იძულებით ჩადენილი საქმეები».[1]

თუმცა, როცა გამართლების მიზეზი გაქრება — მაგალითად, შეიტყობს აკრძალულ ქმედებაზე, ან გაიხსენებს, ან მოუხსნიან იძულებას, ან გამოიღვიძებს — მაშინ მას დაუყოვნებლივ ევალება შეწყვიტოს ეს აკრძალული ქმედება.

მეჩეთ ან-ნაბავის (მოციქულის მეჩეთის) მონახულება.

შუამავლის მეჩეთი არის ერთ-ერთი იმ სამი მეჩეთიდან, რომლისკენაც დასაშვებია სპეციალური მოგზაურობა. ეს სამი მეჩეთია: მექაში-აკრძალული მეჩეთი, მედინაში-შუამავლის მეჩეთი და ყუდსში (იერუსალიმში) ალ-აყსას მეჩეთი. ლოცვა შუამავლის მეჩეთში უკეთესია, ვიდრე ათასი ლოცვა სხვა ნებისმიერ

---

[1] ეს ჰადისი გადმოცემულია იბნ მაჯას მიერ წიგნში "განქორწინების შესახებ", თავში "იძულებით ან დავიწყებით ჩადენილი განქორწინება", №2043 და №2045 — გადმოცემული აბუ ზარიდან და იბნ აბბასიდან.

მეჩეთში, გარდა მექქას აკრძალული მეჩეთისა. ამიტომ, ნებადართულია ლოცვა შუამავლის მეჩეთში ნებისმიერ დროს, და ეს არ არის შეზღუდული ჰაჯობის პერიოდში. შუამავლის მეჩეთში წასვლა არ არის ჰაჯობის ნაწილი, და ჰაჯობა სრულყოფილია მისი ვიზიტის გარეშეც; ჰაჯს არაფერი აკლდება, თუ მოციქულის მეჩეთში არ წავა. თუმცა ადამიანები ხშირად აერთებენ მოციქულის მეჩეთის მონახულებას ჰაჯობასთან, რათა მოგზაურობა ორივესთვის ერთად გამოუვიდეთ — განსაკუთრებით შორეული რეგიონების მოსახლეობისთვის, ვისაც უჭირს ცალ-ცალკე მოგზაურობა.

როცა მეჩეთში შევა, ილოცებს იქ რამდენსაც ალლაჰის ნებით შეძლებს. შემდეგ მიდის ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავთან, დგება მის წინაშე და ამბობს:

მშვიდობა შენზე, ო შუამავალო, ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა შენდა. ო ალლაჰ, დალოცე მუჰამმადი და მუჰამმადის ოჯახი, როგორც დალოცე იბრაჰიმი და იბრაჰიმის ოჯახი;

ჭეშმარიტად, შენ ხარ ყოველი ქების ღირსი და დიდებული. დალოცე მუჰამმადი და მუჰამადის ოჯახი, როგორც დალოცე იბრაჰიმი და იბრაჰიმის ოჯახი; ჭეშმარიტად, შენ ხარ ყოველი ქების ღირსი და დიდებული.“

შემდეგ ოდნავ მარჯვნივ გადადგამს ნაბიჯს, რათა მიესალმოს აბუ ბაქრს ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი და ამბობს: (მშვიდობა შენზე, აბუ ბაქრ, ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ხალიფავ, ალლაჰი იყოს შენით კმაყოფილი და დაგაჯილდოვოს მუჰამმადის უმმათის სახელით საუკეთესო ჯილდოთი.)

შემდეგ კიდევ ოდნავ მარჯვნივ გადადგამს ნაბიჯს, რათა მიესალმოს უმარს (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), და ამბობს: "მშვიდობა შენზე, მორწმუნეთა მმართველო უმარ, ალლაჰი იყოს შენით კმაყოფილი და დაგაჯილდოს მუჰამადის უმმათის სახელით საუკეთესო ჯილდოთი".

შემდეგ გამოდის მეჩეთ ყუბაში — განბანილ მდგომარეობაში — და ლოცულობს იქ.

შემდეგ მოინახულებს ბაყიას — მედინას სასაფლაოს.

იქ მიდის უსმან იბნ აფფანის (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) საფლავთან, ჩერდება და ამბობს: (მშვიდობა შენზე, მორწმუნეთა მმართველო უსმან, ალლაჰი იყოს შენით კმაყოფილი და დაგაჯილდოვოს მუჰამმადის უმმათის სახელით საუკეთესო ჯილდოთი.) შემდეგ მიესალმება ბაყიას მკვდრებს და მათთვის ალლაჰს სთხოვს მიტევებასა და წყალობას.

შემდეგ გამოდის უჰუდის მთისკენ, სადაც მოინახულებს ჰამზას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ბიძის — საფლავს და სხვა წამებულების, რომლებიც იქ არიან დაკრძალულნი, ის ლოცავს მათ (ალლაჰს სთხოვს მათთვის კმაყოფილებას) და დალოცავს მათ მიტევებითა და წყალობით.

ქალისთვის არაა ნებადართული საფლავების მონახულება — არც შუამავლის (ალლაჰის

ლოცვა და მშვიდობა მას) საფლავი და არც სხვა საფლავები.

მედინაში არ არის სხვა რაიმე ადგილი — იქნება ეს მეჩეთი თუ სხვა რამ — რომლის მიზანმიმართული მონახულებაც შარიათით ნებადართული იყოს გარდა იმათისა, რაც ზემოთ ვახსენეთ.

ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა ჩვენს შუამავალს მუჰამმადს, მის ოჯახს და მის ყველა საჰაბას.

დაწერა იმან, ვინც ალლაჰს საჭიროებს.

მუჰამმად საალიჰ ალ'უსაიმინ

❋❋❋

Index

ჰაჯობის ფორმა 2

მოგზაურობასთან დაკავშირებული შარიათული დადგენილებები..... 3

ჰაჯობა როდის გახდა სავალდებულო?..... 31

საიდან უნდა შევიდეს იჰრამში ის, ვინც ჰაჯის ან უმრას შესრულებას აპირებს?..... 36

ჰაჯობის სახეები და მათგან საუკეთესო..... 40

თამათთუ'- ჰაჯის ფორმა: იჰრამში შესვლიდან უმრასთვის ჰაჯობის დასრულებამდე – მოკლე აღწერა. 42

6 – გამოსამშვიდობებელი ტავაფი (ტავაფ ალ-ვადა').55

იჰრამის აკრძალვები..... 56

რა არის შარიათული განჩინება იმ ადამიანის შესახებ, ვინც ამ აკრძალულ ქმედებებს ჩაიდენს იჰრამში ყოფნის დროს?..... 61

მეჩეთ ან-ნაბავის (მოციქულის მეჩეთის) მონახულება. 63

❋❋❋

هدية
HADIYAH

The Encyclopedia of Ar-Rahman's Guests

Selected material for Pilgrims and Um-rah teaching it in languages of the world.